ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საკითხები

1) კობა მეტრეველი

ა) სოფელში წყლის რეაბილიტაციის საკითხი.

ბ) გვერითის წყლამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება.

გ) ნაკიეთში საქორიას მოსახვევთან უსაფრთხოების საკითხი,

2) პავლე გოგშელიძე

ონში წყლის პრობლემების მოგვარება.

3) ნაზიბროლა გავაშელი

1) არტუანის უბანში ახალშენის ქუჩა გადაკეთდა ირინე სხირტლაძის ქუჩად,ესაჭიროება ტრაფარეტის შეცვლა.

2) ბენდიანიშვილების ალაყაფის ჭიშკარი დანგრევის პირასაა მისული,საჭიროებს გამაგრებას.

3) ონი-თბილისის გზა შემოკლდა ,მგზავრობის ფასები გაიზარდა.

4) დალი რაზმაზე

სკოლის ეზოს მოწესრიგება.(დანართი თან ერთვის)

5) ელეონორა ნანიშვილი (დანართი თან ერთვის)

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის
ქალაქ ონის საჯარო სკოლა

GEORGIA
Ministry of education and science.

LEPL Oni Simon Skhirtladze memorial
public school

ს/ კ 237976981

MES 2 22 0001379193

31/10/2022

ონის მუნიციპალიტეტის მერს სერგო ხიდეშელს

ბატონო სერგო

მოგახსენებთ, რომ სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა სრულადაა რეაბილიტირებული 2017 წელს ამერიკელი ხალხის დაფინანსებით, ხოლო სკოლის ეზო მოასფალტდა და კეთილმოეწყო განათლების სამინისტროს (ესიდა-ს) ხელშეწყობით.

სკოლის ეზოს ტერიტორიის ერთი ნაწილი (შესასვლელი მხარე) მოფენილია ნაშალი ქვით. ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭიროა აღებული იქნეს კლდის ნაშალი, დაიყაროს მიწა და განაშენიანდეს ყვავილოვანი და დეკორატიული მცენარეებით. ამ ფართის გამოყენება მოხდება სასწავლო მიზნებისათვისაც (მოეწყობა გეოგრაფიული მოედანი, საცდელი ნაკვეთი და ა.შ) გთხოვთ გაგვიწიოთ დახმარება. ჩვენი სკოლის მიმართ არაერთხლ გამოგიჩენიათ ყურადღება.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და წინასწარ გიხდით მადლობას.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო
სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
რაზმაძე დალი

დ. რაზმაძე

მისასალმებელია,რომ რაიონის ხელისუფლება ასე ღიად,საჯაროდ განიხილავს ბიუჯეტს,ამასთან მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს მოსახლეობის აზრს,პრობლემებს,რაც ჯერ კიდევ შეინიშნება მუნიციპალიტეტში და შეიძლება მისი სწორი დაგეგმარება,რომ პრობლემა იქნეს მოგვარებული.

მე რაიონის რიგითი მოქალაქე,მინდა შემოგთავაზოთ რამოდენიმე საკითხი,რომელსაც მჯერა,რომ მერია შეძლებისდაგვარად იფიქრებს მოგვარებაზე.

1) ყველაზე მთავარი ექიმების საკითხი.რაიონს არ ჰყავს რამოდენიმე სპეციალისტი-ექიმი და მათ შორის პედიატრი (პედიატრი არის ამბროლაურიდან,მაგრამ ხან მოდის,ხან არა,ამას მე მოგახსენებთ მშობლების თხოვნით)
2) თუ არსებობს მარეგულირებელი კომისია,გადახედოს ფასებს,როგორც პურზე,ასევე სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქტებზე,აგრეთვე სამარშუტო ტაქსების ფასებს.
3) ლამაზდება ონის ყველაზე დიდი ქუჩა კახაბერის.თუ შეიძლება ამ ქუჩას გამწვანება,ყვავილნარით გალამაზება და რამოდენიმე ადგილას სკამეიკების დადგმა.
4) ქალაქში არსად არ არის წყლის სოკოები,იქნებ ამაზეც დავფიქრდეთ.
5) მერიამ იქნებ იფიქროს იმაზეც,რომ შეიძინოს ქუჩების მოსარეცხი მანქანები.ადრე ამ მანქანებით ირეცხებოდა ქუჩები.
6) ქუჩების განათება,ერთადერთი ქუჩა,რომელიც არის მართლაც ნორმალურად განათებული ეს აღმასენებლის ქუჩაა.სხვა ქუჩები კი თითქოს არის განათებული,ამას განათება არ ჰქვია.
7) სოფლებისთვის,ბაზრის დრეს მაინც,რომ დაინიშნოს ავტობუსები.

ე.ნანიშვილი

31.10.2022.